სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

96301113786215

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150436373

რეგისტრაციის თარიღი

02.05.2015 წ

ნოტარიუსი: ნინო გახოკიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ათონელის ქ. 11/23
ტელეფონი: 98 21 98

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათასთხუთმეტი წლის ორ მაისს

მე, ნოტარიუს ნინო გახოკიძის სანოტარო ბიუროში რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. N 11/23-ში მომმართა: **შ.პ.ს. „ეტალონი“-ს (ს/კ 204385389) დირექტორმა – თამარ დევაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს **ლევან დევაძის** მიმართ მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე **შ.პ.ს. „ეტალონი“-ს (ს/კ 204385389) დირექტორის – თამარ დევაძის უფლებამოსილება:** ა) ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან **შ.პ.ს. „ეტალონი“-ს** შესახებ განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14140086; ამონაწერის მომზადების თარიღი: 29/12/2014 10:54:23 საიდენტიფიკაციო კოდი: 204385389; ბ) **შ.პ.ს. „ეტალონი“-ს** წესდებით (ახალი რედაქცია) დამოწმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26.12.2014წ. შტამპი № 140.

მე დავადგინე **მისი** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად მომმართა:

თამარ დევაძემ, დაბ. **08.12.1977წ.** რეგისტრირებული და მცხ. **თბილისი კრწანისის ქ. N 3 კორ. ვ ბ. 17. პირადი № 01012001947**

აღნიშნული მომეტისათვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე ნოტარიუსმა ნინო გახოკიძემ დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე წინამდებარე მინდობილობა რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი **თამარ დევაძეს. თამარ დევაძემ** დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით წაიკითხა და პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასთხუთმეტი წლის ორ მაისს

შ.პ.ს. „ეტალონი“-ს (ს/კ 204385389) დირექტორმა – თამარ დევაძემ, დაბ. 08.12.1977წ. რეგისტრირებული და მცხ. თბილისი კრწანისის ქ. N 3 კორ. ვ ბ. 17. **პირადი № 01012001947**

რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მიმნდობი“

ამ მინდობილობით

ლევან დევაძეს, დაბ. 30.05.1975წ. რეგისტრირებული: თბილისი ტყეკულტურის III შეს. N 7. **პირადი № 01030015659**

რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მინდობილი პირი“

მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **ლევან დევაძე უფლებამოსილია იყოს შ.პ.ს. „ეტალონი“-ს (ს/კ 204385389)** წარმომადგენელი სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ რაიონულ საგადასახადო ინსპექციასა და მის ქვემდებარე უწყებებში, დადოს კანონით ნებადართული გარიგებები, გააკეთოს ნებისმიერი სახის განაცხადი, მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე ნებისმიერ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში, დოკუმენტაციის წარდგენის, ამონაწერების აღების, კოდის მინიჭება-აღებისა და საბიუჯეტო გადასახადების გადახდის უფლებით.
2. **ლევან დევაძე უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. „ეტალონი“-ს (ს/კ 204385389)** ინტერესები სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საქართველოს იუსტიციის სახლსა და მის ქვემდებარე უწყებებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ განყოფილებებში, სამეწარმეო რეესტრში, ადგილობრივი მართველობისა და თვითმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიაში, საკრებულოში, მათ ქვემდებარე უწყებებში, სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, სხვა შესაბამის დაწესებულება-ორგანიზაციებში, მიმართოს განცხადებით, მიიღოს მშენებლობის პროექტები და ნებართვები (შეიტანოს შესწორება და/ან ცვლილება), გააკეთოს ნებისმიერი სახის განაცხადი და გასცეს ნებისმიერი შინაარსის თანხმობა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები მისი შეხედულებისამებრ, ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ამონაწერები, აზომვითი ნახაზები, პროექტები, ცნობები, მოწმობები, ასლები და სხვა დოკუმენტაცია, შძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა დიდი ხეივანი, ს/კ **01.18.05.008.001,** მშენებლობა, მიშენება-დაშენება, რეკონსტრუქცია, დემონტაჟი, დაზუსტება, გაერთიანება, გამიჯვნასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით.
3. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად **ლევან დევაძე** უფლებამოსილია მიმართოს განცხადებით, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, საზოგადოების ბეჭდის გამოყენების უფლებით, გადაიხადოს საჭირო გადასახადები, მიიღოს საბანკო და საგადასახადო ამონაწერები და შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით.
4. მინდობილ პირს **უფლება არა აქვს** თავისი შეხედულებისამებრ აღნიშნული უფლებამოსილებები გადასცეს სხვა პირს მთლიანად და/ან ნაწილობრივ.
5. მიმნდობი უფლებამოსილია ეს მინდობილობა გააუქმოს ნებისმიერ დროს და წინამდებარე უფლებამოსილების მინიჭების შესახებ გასცეს ახალი მინდობილობა.
6. მინდობილობა გაცემულია **1 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის 02 მაისის ჩათვლით.**

7. მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი დარჩა ნოტარიუს ნინო გახოკიძის სანოტარო ბიუროს არქივში, რომლესაც თან ერთვის: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შ.პ.ს. „ეტალონი“-ს შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 14140086; ამონაწერის მომზადების თარიღი: 29/12/2014 10:54:23; საიდენტიფიკაციო კოდი: 204385389 ; 2. შ.პ.ს. „ეტალონი“-ს წესდება (ახალი რედაქცია) დამოწმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26.12.2014წ. შტამპი № 140. ამობეჭდილი საჯარო რეესტრის ვებ გვერდიდან. ხოლო **ორი** გადაეცა მხარეს.

8. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ათი ლ + 2 ლარი, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ (29 დეკემბერი, 2011 წ., დადგენილება №507) 31-ე და 39-ე მუხლებისა.

შ.პ.ს. „ეტალონი“-ს დირექტორი

თამარ დევაძე _____

ნოტარიუსი: _____ /ნინო გახოკიძე